მინდობილობის შედგენი თარიღი: 05.03.2020 წელი
მინდობილობის შედგენის ადგილი: ქ. თბილისი

შპს „სისტემ ნეტ"-ის (ს/კ:205267423) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირებმა, დირექტორებმა, ილია ინჯიამ (პ/ნ:01007000232, შემდგომში მოხსენიებული როგორც - **მიმნდობი**)

შპს „ლენდ მარკ პროჯექტი" -ს (ს/კ:405221843) დირექტორს - ხათუნა კიკვაძეს (პ/ნ:01017008247) და ავთანდილ მახარობლიშვილს (პ/ნ:01008018073) შპს „ლენდ მარკ პროჯექტი" -ს 100%-იან წილის მესაკუთრეს , (შემდგომში: ხათუნა კიკვაძე და ავთანდილ მახარობლიშვილი მოხსენიებულია როგორც - **მინდობილი პირი**)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს **მიმნდობი** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ქ. თბილისში, გორგასლის შესახვევი #5-ში (01 18 09 001/008 საკადასტრო ერთეული) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების, განაშენიანების რეგულირების გეგმის, არქიტექტურული პროექტის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით. ასევე, მინდობილი პირი უფლებამოსილია წარადგინოს და შეათანხმოს 01 18 09 001/008 საკადასტრო ერთეულზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.

მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია მიმნდობის სახელით, წარადგინოს და ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ განცხადებას და სხვა ოფიციალურ საბუთებს, მიიღოს მონაწილეობა პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში და შეასრულოს ყველა ქმედება რაც უკავშირდება ზემოაღნიშნულ დავალებას. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია ხელზე მიიღოს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და მშენებლობის ნებართვა.

მინდობილი პირი, როგორც შპს „ლენდ მარკ პროჯექტი"-ს დირექტორი - ხათუნა კიკვაძე და 100%-იანი წილის მესაკუთრე - ავთანდილ მახარობლიშვილი უფლებამოსილია, აღნიშნული დავალების შესრულებაში ჩართოს: კომპანიის ქვეკონტრაქტორები და მასთან შრომითი ხელშეკრულებით დაკავშირებული პირები.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს - **შპს „სისტემ ნეტ"**, როგორც სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების ინტერესის მქონე პირი.

შპს „ლენდ მარკ პროჯექტი"-ს დირექტორს და მისი 100%-იანი წილის მესაკუთეს, წინამდებარე დავალების შესასრულებლად, უფლება აქვთ წარმოადგინონ მიმნდობი, როგორც ერთობლივად ასე ცალცალკე.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია მასში აღნიშნული დავალების სრულად შესრულებამდე.

შპს „სისტემ ნეტ",-ის

დირექტორი:

ილია ინჯია

„SYSTEM NET" Ltd · შ.პ.ს. "სისტემ ნეტ"
system net
205267423